EuroArt

ევრო ჯვარი

Brand platform

GCC MALTA / VIPR

EuroArt - ახალი სოციალური პლატფორმაა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნებისა და მისი საქმიანობის პერსონიფიცირებას.

GCC-Malta/VIPR ახორციელებს სხვადასხვა ფორმატის კულტურულ, საგანმანათლებლო პროგრამებს, საერთაშორისო პროექტებს, ტრენინგებს, ღონისძიებების (ფორუმი, კონფერენცია, სიმპოზიუმი, გამოფენები, ქართული პროდუქციის წარდგენა, საერთაშორისო გასტროლები, ფოლკლორული, არტ, კლასიკური მუსიკის ფესტივალები...) მოწყობასა და ორგანიზებას, „საერთაშორისო პრომოუშენს„ საქართველოში, მალტის რესპუბლიკაში, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში: **მალტა, პალერმო, შვეიცარია, ბარსელონა, კოსტა ბრავო- ესპანეთი, კანი- ნიცა- საფრანგეთი, მონტე-კარლო - მონაკო; სან-რემო- იტალია, შვედეთის სამეფო, საბერძნეთი,** ჩვენი გუნდის მიერ განხორციელებულია 100- ზე მეტი საერთაშორისო პროექტი და 11 სახელმწიფო გრანტი.

დიზაინი, ბეჭდვა: **Art UDG**

საკონტაქტო: artudg.ge@gmail.com

ქეთი კვიციაძე

ემოცია, ჩემი შემოქმედებითი გამონათქვამების სიცოცხლის წყაროა. ის უხილავი ძაფია, რომელიც ჩემს ნამუშევრებს მრავალფეროვანს, მზის სხივებით სავსეს და ადამიანურს ხდის.... შემოქმედებითი სამყარო ადამიანური შესაძლებლობების გამოვლენის არენაა.

ჩემთვის, შემოქმედისთვის ყველაზე ფუნდამენტური ადამიანია. კულტურა ხელოვნების ენაა,რომელიც საზოგადოებასთან, კულტურათა დიალოგით ურთიერთქმედებას განაპირობებს. ჩემი შემოქმედება და ცხოვრება ამ ღირებულებათა ერთობლიობას ქმნის.

"მზით მორთულები მზედ უნდა ვიქცეთ"
ო.ჭილაძე

Euro Art

ბრენდის პერსონიფიცირება

ქეთი თვითნასწავლი მხატვარია, რომელიც თვის სამყაროში საკუთარი სახელის გარეშე ქმნიდა ნამუშევრებს მისთვის დამახასიათებელი უხილავი ემოციითა და ძლიერი ენით. ეს ძალა აკავშირებდა შემოქმედსა და მაყურებელს. ყოველთვის გრძნობდა, რომ დაკვირვებულ თვალს არ გამორჩებოდა მისი ხელწერა.

ქეთიმ ხატვა 7 წლის წინ თავის შვილიშვილ ნუცისთან ერთად დაიწყო. ეს საოცარი განცდა - შვილიშვილი გახდა ხელოვანისთვის შემოქმედების საწყისად, პირველ პედაგოგად. ამიტომაც არის ქეთის შემოქმედება მრავალფეროვანი, მზის სხივებით სავსე და ადამიანური. ხატვა მისი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.
შემოქმედისთვის ხატვა დადებით ემოციებთან კავშირშია, რომელმაც საკუთარი თავი განსხვავებულ ამპლუაში აპოვნინა. სიცოცხლის ახალი სხივები შემატა მის ცხოვრებას. ბედნიერებით დახუნძლული ხურჯინით ცდილობს ყველას - მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს გაულამაზოს ცხოვრება.

ხელოვანისთვის მისი შემოქმედება ახლის ძიების შეცნობისკენ მიმავალი გზაა.. წყურვილი განვითარების, ახალი სირთულეების დაპყრობისა და შემეცნების. სწორედ აქედან გამომდინარე, ყოველთვის ცდილობს ღირსეულად წარსდგეს ყველა გამოფენასა და ფესტივალზე; მიიღოს ახალი რეკომენდაციები. საოცარი გავლენა მოახდინა მისი შემოქმედების განვითარების პროცესში, აკვარელის ჯადოქარმა, ბატონი იური სკრინიკოვის მასტერკლასებმა. ამ მიმართულებით ზღვა შესაძლებლობების გაცნობამ განაპირობა ხელოვანის შემოქმედებაში ფერწერული ვიტრაჟით გატაცება.. ამას მოყვა მინის მხატვრული დამუშავების კურსის გავლა თბილისის სამხატვრო აკადემიაში

Euro Art



ფერწერული ვიტრაჟის ტიხარი(ცივად მოხატული),ხის კარკასი, 78/180 მარტო ვირაჟი, მთლიანად 78/260

55/65,ფერწერული ვიტრაჟი,(ცივად მოხატული),პრიზმით, დღე.ზედა იეროგლიფი,ნახევარწრე შუმერულად დღეს ნიშნავს

Euro Art

90/60,ტილო,აკრილი



აკვარელი, 30/40

აკვარელი,ფაბრიანოს ქაღალდი,50/75

ქეთი კავილაძე დაიბადა ქ. თბილისში 1969 წელს. ყავს მეუღლე და ორი შვილი, იგი სპეციალობით ეკონომისტ - მათემატიკოსია. მისი პროფესიიდან გამომდინარე, საინტერესოა ქეთის მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი შემოქმედება, რომელიც მისეული ინდივიდუალიზმით გამორჩეულია. ქეთის შემოქმედება წარმოდგენილია რამდენიმე სექციით:

- **ფერწერა**
- **სამკაული/ფუზინგი**
- **მინის ვიტრაჟები**

მის შემოქმედებით ნუსხაში ექვსი პერსონალური გამოფენაა; მონაწილეობას იღებს როგორც საქართველოში მხატვართა კავშირის მიერ გამართულ გამოფენებსა და ღონისძიებებში, ასევე ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

ქეთი კავილაძე - გამოფენები:

- 2017-2023 წ.წ. ექვსი პერსონალური გამოფენა;
- 2018-2024 წ.წ. საქართველოს მხატვართა კავშირის მიერ გამართული გამოფენები;
- 2019 წ. ვენეცია - ქართველი ხელოვანების ჯგუფური გამოფენა;
- 2021 წ. გამოფენა სახელწოდებით: „პიკასოს იუბილე„ „დიალოგი ფერებთან„
- 2021-2022 წ.წ. „ ხელოვნების მეჯლისი„ - მერაბ ბერძენიშვილის საგამოფენო სივრცე;
- 2022 წ ათენი, ნიუ-იორკი მხატვართა საერთაშორისო გამოფენები;
- 2022 წ გამოფენა სახელწოდებით: „აკვარელი ხელოვნების სულ-თბილისი„
- 2022 წ დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა: „თბილისი„
- 2022 წ. ქართულ-ინდური საერთაშორისო ფესტივალი თბილისში;
- 2022 წ. „ ფერთა ფილოსოფია„ - ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი;
- 2022 წ. პერსონალური გამოფენა თელავის ისტორიულ მუზეუმში;
- 2022 წ. „მზის სხივები„ - აჭარის ხელოვნების მუზეუმი;
- 2022 წ. „დაფერილი ფიქრები„ - ქართველ ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა;
- 2023-2024 წ.- იტალია - საერთაშორისო ხელოვანთა გამოფენები;
- 2024 წ - EuroArt - ქართველ ხელოვანთა გამოფენა;
- 2022 -2024 წ.წ.- მხატვართა ლიგის გამოფენები;
- 2023-2024 წ.წ. თბილისის სამხატვრო აკადემია - მინის მხატვრული ნამუშევრების დამუშავება (ფუზინგის მეთოდით)



08/03/2019

24/04/2021

08/05/2022б.

05/01/2018

01/03/24б.



16/01/2022

30/03/2019



23/03/2024б.

Ketevan Kaviladze

ქეთი კავილაძის ორი ნამუშევარი დაცულია: თელავის ისტორიულ მუზეუმში; კერძო კოლექციებში: საქართველო,ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანია.

„აბრეშუმის გალერეაში„ ქეთი კავილაძის პერსონალური გამოფენაზე, ექსპოზიციაში წარმოდგენილი იქნა: ტილოსა და ქაღალდზე ზეთით, პასტელით, აკვარელითა და მინაზე ვიტრაჟის საღებავებით შესრულებული ნამუშევრები, სერიებად: ქალაქები, ყვავილები, ქალბატონები, აბსტრაქციები. გამოფენაზე ასევე ქეთი კავილაძის მიერ შეკერილი კოსტიუმები.

ქეთი კავილაძეს საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია

თვითნასწავლი მხატვრის პირველი პერსონალური გამოფენა 2017 წლის 24 ნოემბერს თბილისში გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე არსებულ საგამოფენო სივრცეში მოეწყო. გახსნის ცერემონიაზე სხვა სტუმრებთან ერთად იყვნენ მოქანდაკე თამაზ ჩურტყოშვილი და მხატვარი თანგულ ორთოიძე. სწორედ ბატონი თამაზის მიწვევით გამოფენა მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ცერცვაძემ დაათვალიერა და ნამუშევრებით მოიხიბლა. 2018 წლის მარტში ქეთი კავილაძე მხატვართა კავშირში გაწევრიანდა. 2019 წლის 30 მარტს ვენეციაში, ზენობიოს სასახლეში („პალაცო ზენობიო“) გაიხსნა ქართველ მხატვართა გამოფენა, რომელზეც ქეთი კავილაძის ნამუშევრებიც იყო წარმოდგენილი

"White ship", canvas, acrylic, size 58/87.
Art.Ketevan Kaviladze

"On the beach"
cardboard, acrylic, Size 85/67
Art.Ketevan Kaviladze

Euro Art

ფერწერა

ტილო,აკრილი,
85/55,აბსტრაქცია

Euro Art

30/40,აკვარელი, ჯაზი-
საუბრის ენა

85/65,აკრილი,გრუნტი,
მუყაოს სტენდი

73/133,ტილო,ზეთი,"აბსტრაქცია
"

Euro Art

120/120,ტილო,აკრილი,"სამყარო
"

Euro Art

70/107,ტილო,ზეთი,"აბსტრაქცია
"

132/72,ტილო,ზეთი,"აბსტრაქცია
"

138/78,ტილო,ზეთი,"ფელინი"

Euro Art



85/65,აკრილი,(სტენდი,თხელი,დაპრესილი ხე)

Euro Art

90/70 გამოყენებულია უნივერსალური სპრეი საღებავი

Euro Art

სამკაული/ფუზინგი

ფუზინგის მეთოდით,საყვავილე,დიამეტრი 17სმ,სიმაღლე 32სმ,სიგანე22სმ,სიგრძე31სმ.ყალიბზე გამომდინარი მინა,მინებს შორის მინის კრისტალებითაა კომპოზიცია აწყობილი.

Euro Art

25/32 ფუზინგი

საათი, დიამეტრი 20სმ,სიმაღლე 42,ფუზინგი

27/27,ფუზინგი.კომპოზიცია ერთადაა გამომდინარი, ქოლგა

Euro Art

ორეულები ფუზინგი,ვერცხლის გარეშე,ბეჭედი,სამაჯური,ყელსაბამი ვერცხლში ჩასმული.



44/8,იასამნისფერი ქალი,ფუზინგი,
გამდნობის მერე დაწებებულია
მინაზე და შევსებულია 3 მმ-იანი
წვრილად დაჭრილი მინით

ტრიპტიხი,ტილო,აკრილი,10440

Euro Art

მინის ვიტრაჟები

5565,ფერწერული ვიტრაჟი,(ცივად მოხატული),პრიზმით, დღე.ზედა
იეროგლიფი,ნახევარწრე შუმერულად დღეს ნიშნავს

Euro Art

ნოცი... ჩემი შემოქმედების საწყისი

EuroArt

„ჩემთვის ხატვის პროცესი დღესასწაულია, აისი დაისის ფერებია, რომელიც მინდა რომ სულ ჩემში იყოს, ჩემი ცხოვრების გასავლელ გზაზე ...
ძალიან ბევრს ვფიქრობ ჩემი მინის ვიტრაჟებით გაფორმებულ სახელოსნოზე, სადაც ჩემეული მუსიკალური, შემოქმედებითი სამყაროს ჰანგებით იქნება გაჟღენთილი: სიყვარული, შემოქმედებითი წვა, ღიმილი, სიკეთით სავსე ურთიერთობები და ჩემი ნუცის - ახალი ცხოვრების საწყისის პორტრეტები „ ...

EuroArt ჩემთვის ახალი გამოწვევაა, მოტივაცია და ახალი შესაძლებლობების გამოვლენაა...

ქეთი კავილაძე

+995 551 91 91 04
kaviladzeketevan@gmail.com
Qeti Kaviladze

90/60,ტილო,აკრილი,ძველი ქართულით,შუმერულად და იტალიურად
აწერია თავისუფლება